საქართველოს მთავრობის

დადგენილება №197

2024 წლის 17 ივნისი

ქ. თბილისი

„ელექტროენერგიის ზოგიერთ მწარმოებელზე (თბოელექტროსადგურებზე) საჯარო მომსახურების გაწევის ვალდებულების დაკისრების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 28 დეკემბრის №625 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ელექტროენერგიის ზოგიერთ მწარმოებელზე (თბოელექტროსადგურებზე) საჯარო მომსახურების გაწევის ვალდებულების დაკისრების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 28 დეკემბრის №625 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/12/2021, 300280000.10.003.023181) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების პირველ მუხლში მოცემული ცხრილის პირველი, მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საჯარო მომსახურების გამწევი ელექტროენერგიის მწარმოებლები (წარმოების ლიცენზიანტები)	თბოელექტროსადგურის დასახელება	სიმძლავრე (მგვტ-ში)	უზრუნველყოფის პერიოდი
1. შპს „მტკვარი ენერჯი“	გარდაბნის თბოელექტროსადგური, №9 ენერგობლოკი	180	2010 წლის 1 სექტემბრიდან 2025 წლის 1 ივლისამდე
2. შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“	გარდაბნის თბოელექტროსადგური, №3 ენერგობლოკი	100	2010 წლის 1 სექტემბრიდან 2025 წლის 1 ივლისამდე
	გარდაბნის თბოელექტროსადგური, №4 ენერგობლოკი	100	2010 წლის 1 სექტემბრიდან 2025 წლის 1 ივლისამდე
3. შპს „ჯიფაუერი“	აირტურბინული ელექტროსადგური	80	2010 წლის 1 დეკემბრიდან 2011 წლის 1 სექტემბრამდე, 2012 წლის 1 აპრილიდან 2014 წლის 1 თებერვლამდე და 2016 წლის 1 აპრილიდან 2019 წლის 4 მარტამდე
		65	2011 წლის 1 მარტიდან 2012 წლის 1 აპრილამდე და 2014 წლის 1 თებერვლიდან 2016 წლის 1 აპრილამდე

		60	2019 წლის 4 მარტიდან 2025 წლის 1 ივლისამდე, ხოლო 2025 წლის 1 ივლისიდან 2026 წლის 1 ივლისამდე განისაზღვროს ავარიული სწრაფი რეზერვის წყაროდ
5. შპს „გარდაბნის თბოსადგური-2“	გარდაბნის თბოსადგური 2	170	2025 წლის 1 ივლისიდან 2035 წლის 28 მარტამდე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**